

ნანა ლუხუცაშვილი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

**ტრანსპორტის როლი ქვეყანაში
ტურიზმის განვითარებაში**

ანოტაცია

ტურიზმის როლი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულატორისა, სრულად ვლინდება მატერიალური წარმოების ისეთ დარგში, როგორიცაა ტრანსპორტი.

სწრაფი ტემპებით იზრდება ტურისტულ მოგზაურთა რაოდენობა და მათ მიერ განვლილი მანძილი. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით ტურიზმის მოყვარულთა რაოდენობა 8-10-ჯერ გაიზარდა. ასევე ამ ხნის განმავლობაში 150 კმ-ით გაიზარდა ერთი ტურისტის მოგზაურობის საშუალო მანძილი.

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ ტრანსპორტისა და ტურისტული მოგზაურობების ურთიერთდამოკიდებულება. ტურისტული გადაზიდვები მეტ-ნაკლებად სეზონურობით გამოირჩევა, რაც იწვევს სატრანსპორტო საწარმოს არათანაბარ დატვირთვას. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო დატვირთულია ზაფხულის მეორე ნაწილი და შემოდგომის პირველი ნახევარი, რაც მოითხოვს სატრანსპორტო საშუალებების სრულ მობილიზაციას, მის კონკრეტიზაციას დროსა და ადგილის მიხედვით, რათა უზრუნველყოთ ტურისტ-მოგზაურთა მომსახურება ტურისტულ სეზონებზე აუცილებელი დამატებითი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით. რადგან არასეზონურ პერიოდში სატრანსპორტო საშუალებები მოცდენაშია, ამიტომ აუცილებელია ტურისტული სეზონების ხანგრძლივობის მაქსიმალური გამოყენება; საშემოდგომო, ზამთრისა და საგზააფხულ ტურიზმის განვითარება, რის საფუძველსაც იძლევა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები.

ტურისტი, თავისი თანხის გარკვეულ ნაწილს ხარჯავს მოგზაურობისათვის, ამდენად იზრდება ტურისტთა მოთხოვნილებები სატრანსპორტო საშუალებები მიმართ, რაც თავის მხრივ იძულებულს ხდის სატრანსპორტო საწარმოს მაქსიმალურად მიუახლოვოს მისი შესაძლებლობები წაყენებულ მოთხოვნებს: სატრანსპორტო საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რაოდენობრივ განვითარებასა და სატრანსპორტო საშუალებების ხარისხობრივ (სიჩქარე, კომფორტი და სხვა მომსახურება) სრულყოფას.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ტრანსპორტი, ტურისტული მოგზაურობები, ტურისტული გადაზიდვები, სატრანსპორტო საშუალებები, ექსკურსანტები, სატრანსპორტო ექსკურსიები.

სატრანსპორტო გადაზიდვები ნებისმიერი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელშიც მთავარია სამგზავრო ტრანსპორტი, განსაკუთრებით ტურიზმის განვითარების საქმეში.

ტურიზმის როლი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულიატორისა, თავის მხრივ სრულად ვლინდება ისეთ დარგში, როგორიცაა ტრანსპორტი.

მეხრამეტე და მეოცე საუკუნეებში მომხდარმა სოციალ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა თანამედროვე მასობრივ ტურიზმს დაუდო საფუძველი. უდავოა რომ ტექნოლოგიური ინოვაციების წყალობით დღეს მოგზაურობა გაცილებით სწრაფი, უსაფრთხო და საიმედოა ვიდრე წარსულში. მასობრივი საერთაშორისო ტურიზმის წარმოშობაზე ყველაზე დიდი გავლენა საჰაერო-სატრანსპორტო ტექნოლოგიურმა მიღწევებმა იქონია.

სარკინიგზო ტრანსპორტისა და რკინიგზის ქსელის შექმნამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მეცხრამეტე საუკუნეში ტურიზმის განვითარებაში, ისევე როგორც საერთაშორისო ავიატრანსპორტმა მეოცე საუკუნეში.

უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში სწრაფი ტემპებით იზრდება ტურისტულ მოგზაურთა რაოდენობა. მსოფლიო მასშტაბით ტურიზმის მოყვარულთა რაოდენობა 8 – 10 - ჯერ გაიზარდა და 200 მლნ. აღამიანზე მეტი მოიცავს. იზრდება ერთი ტურისტის მოგზაურობის საშუალო მანძილიც, ამ ხნის განმავლობაში იგი 150 კმ-ით გაიზარდა.

აღამიანები ყოველდღიურად გადაადგილდებიან. ბევრი მათგანი ხშირი გადაადგილების გამო სერიოზულ მორალურ და ფიზიკურ სტრესს ღებულობს. გადაადგილების პროცესი მოვაჭრეებისა და ჩინოვნიკებისათვის, რომლებსაც სამსახურის გამო ხშირად უწევთ მივლინებაში ყოფნა, მათი ცხოვრების სტილია. მოსახლეობის ამგვარ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება ასევე ტრანსპორტის სფეროს მუშაკები (სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები, პერსონალი და გამცილებლები, ექსკურსიათმძღოლები და ა.შ.).

დღეს მოგზაურთა თითქმის ნახევარი ტურისტულ მოგზაურობაში იმყოფება, განაპირობებს მგზავრთა ნაკადების რაოდენობის ზრდას და შესაბამისად დიდ გავლენას ახდენს ტრანსპორტის განვითარებაზე. [1, გვ. 66]

გადაყვანის სახეობების არჩევისას მთავარია:

- მოგზაურობის ძირითადი მიზნებისა და მიზეზების გარკვევა;
- მოგზაურობის მიმართულება, გეოგრაფიული ფაქტორი, დესტინაციის ადგილმდებარეობა, საგზაო (სატრანსპორტო) ხელმისაწვდომობა და მოწყობა .

ალტერნატიული ვარიანტის არჩევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა შემდეგ ფაქტორებს ენიჭება:

- სეზონურობას;
- დანიშნულების პუნქტში მიყვანის დროსა და სისწრაფეს;
- ხელმისაწვდომობას, კომფორტულობას, ინფორმაციულობას;
- უსაფრთხოებას;
- ბარჯის ხელმისაწვდომობას;
- მომსახურების საფასურსა და მომხმარებლის გადახდისუნარიანობას.

მოგზაურის ფიზიკურ მდგომარეობას, ასაკს, სპეციფიკურ დატვირთვას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ნებისმიერი მოგზაურობის დროს, განსაკუთრებით დიდ მანძილზე, ადგილის რთული რელიეფის პირობებში, წყლის სივრცის გადალახვის ან კონტინენტებსა და ქალაქებში გადაადგილებისას, როგორც წესი, გადაყვანის შერეული ტიპის სახეობებს იყენებენ. [2, გვ.33]

გადაყვანის საშუალებებსა და სისტემებს დიდი გავლენა აქვს საზოგადოების განვითარებაზე, საკომუნიკაციო კავშირების აქტიუობაზე, ეკონომიკის ინტენსიურ განვითარებაზე, სამუშაო

ადგილების შექმნაზე, ფინანსური საშუალებების, მოსახლეობის მოძრაობისა და ტურიზმის განვითარებაზე.

ტურისტთა მომსახურებაში ყველა სახის ტრანსპორტი იღებს მონაწილეობას. ბოლო პერიოდში მეტი დატვირთვა მოდის საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტზე. გადაადგილების სისწრაფის ამდლებამ მინიმუმამდე დაიყვანა კურორტის არაპოპულარობა მისი სიშორის გამო. ბუნებრივია, სხვა თანაბარ პირობებში მეზავრობის ღირებულება მეტია იქ, სადაც მეტი მანძილია. ამიტომ, ტურისტი უმეტესწილად ირჩევს უფრო მეტი სისწრაფის ტრანსპორტს. მეზავრობის ტარიფშიც განსხვავება არის არა მანძილში, არამედ სისწრაფეში, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითმფრინავზე ბილეთის ფასი ყოველთვის მეტია, ვიდრე მატარებელსა და ავტობუსზე.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი შეიძლება იყოს არა მარტო ტურისტის გადაადგილების საშუალება, არამედ ტურისტის დასვენების ობიექტი. ამ შემთხვევაში დამსვენებლისათვის ტრანსპორტი წარმოადგენს არა მარტო გადაადგილების საშუალებას, არამედ იგი უზრუნველყოფს სხვა სახის მომსახურებასაც: დამისთვევა, საზოგადოებრივი კვება, გართობა და ა.შ.

ტრანსპორტი ასრულებს აგრეთვე დიდ როლს ექსკურსანტების მომსახურებაში. ექსკურსიებში იგულისხმება არა მხოლოდ რომელიმე ტერიტორიის ისტორიული, კულტურული, თუ ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, გასეირნება ზღვაზე, ტყეში, სოკოს მოსაკრეფად და ა.შ., რომელიც არ საჭიროებს დამის გათევას სატრანსპორტო საშუალებებში.

განსხვავებენ **სატრანსპორტო ექსკურსიების** შემდეგ სახეებს:

- მოგზაურობა ტურისტული მატარებლით, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტით, როდესაც ტურისტული საწარმოს მიერ ხორციელდება მომსახურების მთელი კომპლექსი.
- მოგზაურობა, რომლის დროსაც სხვადასხვა მომსახურება ხორციელდება ტურისტის ხარჯზე, დამოუკიდებლად.

სატრანსპორტო ტურიზმის კერძო სახეებია: სამდინარო ტურიზმი, საზღვაო ტურიზმი, ავტოტურიზმი, სარკინიგზო ტურიზმი, საავიაციო ტურიზმი.

თანამედროვე ტურიზმი წარმოდგენილია საკუთარი, მსუბუქი ავტომანქანით (ავტოტურიზმი) ტურისტული მოგზაურობების გარეშე. ასეთი მოგზაურობა, როგორც წესი გათვალისწინებულია რამდენიმე დღეზე, მაქსიმუმ-ერთი კვირის პერიოდზე. რა თქმა უნდა ავტომობილის შექმნა საჭიროებს დიდ კაპიტალდაბანდებას, ამიტომ თითოეული მფლობელი ფიქრობს მიიღოს მისგან მაქსიმალური უკუგება. ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი როდესაც ოჯახი სრული შემადგენლობით მიდის ტურისტულ მოგზაურობაში, ეკონომიკურად გამართლებულია გასწიოს საკუთარ მანქანაზე მცირე მიმდინარე ხარჯები (ბენზინი, ზეთი, სარემონტო მომსახურება), რითაც იზოგება თანხა სხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან შედარებით. აი, მაგალითად მარშრუტი-„ქუთაისი-თბილისი-ქუთაისის», სიგრძე დაახლოებით 450 კმ-ია. სამარშრუტო ტაქსით ოთხი მეზავრის ხარჯები შეადგენს 80 ლარს, მაშინ როდესაც საწვავის ხარჯი საკუთარ ავტომანქანაზე დაახლოებით 55 ლარია.

რამდენადაც ტურისტი, თავისი თანხის გარკვეულ ნაწილს ხარჯავს მოგზაურობისათვის, იგი სატრანსპორტო საწარმოსათვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. ამავე დროს, სულ უფრო იზრდება ტურისტთა მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, რაც თავის მხრივ იძულებულს ხდის სატრანსპორტო საწარმოს მაქსიმალურად მიუახლოვოს მისი შესაძლებლობები წაყენებულ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები გამოიხატება შემდეგში:

- სატრანსპორტო საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რაოდენობრივი განვითარება;
- სატრანსპორტო საშუალებების ხარისხობრივი სრულყოფა (სიჩქარე, კომფორტი და სხვა მომსახურება).

სატრანსპორტო ბაზის რაოდენობრივ განვითარებაში იგულისხმება ცალკეულ სატრანსპორტო საშუალებებში მეზავრთა ტევადობის ზრდა. მაგალითად, იკარუსის ტიპის ავტობუსის ნაცვლად ორსართულიანი ავტობუსის გამოყენება და ა.შ. ხარისხობრივ ზრდაში კი სიჩქარის, კომფორტის, საიმედოობისა და ა.შ. ზრდასთან ერთად იგულისხმება აგრეთვე სატრანსპორტო-ტურისტულ ნაგებობათა სრულყოფა, მათ შორის ტურბაზებთან, სხვადასხვა ღირსშესანიშნაობასთან მისასვლელი გზების სარემონტო სამუშაოები.

ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას, მათ რიცხვში არის ტრანსპორტიც. ტურისტთა მომსახურე ტრანსპორტი სპეციფიკურობით ხასიათდება. ტურისტული გადაზიდვები მეტ-ნაკლებად სეზონურია, რაც იწვევს სატრანსპორტო საწარმოს არათანაბარ დატვირთვას. განსაკუთრებით საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო დატვირთულია ზაფხულის მეორე და შემოდგომის პირველი ნახევარი.

რადგან ტურისტთა ძირითადი ნაკადი წლის გარკვეულ დროსაა, იგი შესაბამისად თხოვლობს სატრანსპორტო საშუალებების სრულ მობილიზაციას, მის კონცერტრაციას დროისა და ადგილის მიხედვით, რომ უზრუნველყვით ტურისტ-მოგზაურთა მომსახურება დამატებითი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით. არასეზონურ პერიოდში კი ეს სატრანსპორტო საშუალებები მოცდენაშია, ნაკლებად დატვირთულია, რაც გარკვეული ზარალის ტოლფასია, ამიტომ აუცილებელია ტურისტული სეზონების ხანგრძლივობის მაქსიმალური გამოყენება; საშემოდგომო, საზამთრო და საგაზაფხულო ტურიზმის განვითარება, რომლის საფუძველს იძლევა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები.

სატრანსპორტო საშუალებათა როლის შესწავლა ტურიზმის განვითარებაში, შედარებით გვიან მოხდა. ბევრი მეცნიერ-ეკონომისტი ტრანსპორტს არ მიიჩნევდა ტურიზმის განვითარების აუცილებელ ფაქტორად. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი და ტრანსპორტი ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დარგია, ტურიზმის შემდგომი განვითარება შეუძლებელია ტრანსპორტის განვითარების გარეშე. ეს დარგები მხოლოდ ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს.

რეალურ პირობებში გადაზიდვების ტექნიკური საშუალებებისა და კონსტრუქციების სრულყოფა და ახლი სახეობების შექმნა შემდეგი მიმართულებებით მიმდინარეობს:

- ახალი ტექნოლოგიების, მასალების, ენერგომატარებლებისა და ძრავების, ავტომატიზაციის ახალი სისტემის გამოყენება;
- გადაადგილების სიჩქარის გაზრდა და მოგზაურობის დროის შემცირება (ჩქაროსნული გზები და მაგისტრალები, გადაადგილების ჩქაროსნული საშუალებები);
- გადაყვანის ყველა სახის სისტემის უსაფრთხოების ეფექტურობის გაზრდა;
- მეზავრობის კომფორტულობის გაზრდა და მომსახურების სპექტრის გაფართოება;
- სატრანსპორტო ერთეულის მეზავრების ტევადობის გაზრდა;
- მასობრიობის ხარჯზე გადაზიდვების საფასურის გაიაფება;

-
-
- გამარტივება, ოპერატიულობის გაზრდა, სატრანსპორტო საბაჟოებზე დროის შემცირება, საემიგრაციო და სხვა პროცედურები.
 - გარემოზე მავნე გავლენის შემცირება და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლუსუტაშვილი, ნ. ჯულაყიძე ე. ტურიზმის მენეჯმენტი. ქუთაისი, 2009.
2. მეტრეველი მ., ტურიზმის ბიზნესი. თბილისი, 2011.